ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ოქტომბრის 15. № 28 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

209. სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის მოწვევის შესახებ.

210. საბჭოების და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების შესახებ.

211. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-IV თავის (22 და 23 მუხლების) გაუქმების შესახებ.

ტრანსპორტი.

212. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

213. სასწავლო მიზნებისათვის საზ. „ავტოგზის" ორგანიზაციების სადგომებით და მარჭანებით უზრუნველყოფის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

214. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების 28[1] მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

განათლება.

215. საბიბლიოთეკო აღწერის ჩატარების შესახებ.

216 საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის დებულების შეცვლის შესახებ.

217. რუსთაველის სახელობის თეატრის ათი წლის არსებობის აღნიშვნის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

218. ტფილისის ბალნეოლოგიური კურორტის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

219. კურორტ სურამის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

220. კურორტ ქვიშხეთის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

221. კურორტ მენჯის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

222. კურორტ ანაკლიის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

223. კურორტ მალთაყვის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

224. კურორტ ნაბეღლავის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

სისხლის სამართალი.

225. სისხლის სამართლის კოდექსის 30[1] და 30[2] მუხლების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

209. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობა მოწვეულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 28-ს ქალ. ტფილისში.

2. დამტკიცდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საქართველოს სსრ-ის მთავრობის ანგარიში.

2) კოლხიდის მშენებლობის შესახებ.

3) მოხსენება განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.

4) მოხსენება საკონსტიტუციო საკითხების შესახებ.

5) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

6) დელეგატების არჩევა ამიერკავკასიის და საკავშირო საბჭოთა ყრილობებზე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1934 წ. აგვისტოს 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 199 №-ში 1934 წ. აგვისტოს 28.

---

210. დადგენილება ც.ა.კ.

საბჭოების და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საბჭოების საანგარიშო კამპანია ჩატარებულ იქნეს 1934 წ. ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 10-მდე.

2. სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარდეს 1934 წ. ნოემბრის 15-დან დეკემბრის 1-მდე, ხოლო საქალაქო საბჭოების არჩევნები 1933 წ. ნოემბრის 25-დან დეკემბრის 5-მდე.

შენიშვნა: საქართველოს მთიან ადგილებში (ხევსურეთი, ხევი, მთათუშეთი, ზემო-სვანეთი, ხულო, ონის რაიონის ერთი ნაწილი) სასოფლო საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1934 წ. ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 1-მდე.

3. სარაიონო საბჭოთა ყრილობები მოწვეულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 5-დან დეკემბრის 15-მდე, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საბჭოთა ყრილობები მოწვეულ იქნენ 1934 წ. დეკემბრის 15-დან 20-მდე.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს დაუყოვნებლივ გამოყონ სათანადო საარჩევნო კომისიები.

7. საბჭოთა არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან დაარსებულ იქნეს ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. 1) თ. ჟღენტი (თავმჯდომარე), 2) პ. აღნიაშვილი, 3) დეკანოზიშვილი, 4) არუთინოვი, 5) გ. გიორგობიანი, 6) გ. ყურულაშვილი, 7) ლორთქიფანიძე, 8) ნ. ლაკობა, 9) კ. ჯატიევი, 10) გ. სტურუა, 11) ს. ბუაჩიძე, 12) ა. ბერიძე, 13) ვ. ბაქრაძე, 14) დ. კილაძე და 15) კ. გობეჯიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 199 №-ში 1934 წ. აგვისტოს 28.

---

211. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-IV თავის (22 და 23 მუხლები) გაუქმების შესახებ.

„საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-IV თავი (22 და 23 მუხლები) (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 № ი, მუხ. 146) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა-კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტი

212. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების მე-8 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 23 №-ი, მუხ. 24[5]) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„8. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აპარატის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სამმართველოს სასტრუქტურო დანაწილებათა დებულებებს ამტკიცებს სამმართველოს უფროსი“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

---

113. დადგენილება ს.კ.ს.

სასწავლო მიზნებისათვის საზ. „ავტოგზის“ ორგანიზაციების სადგომებით და მანქანებით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების დამხმარე საზოგადოების—„ავტოგზის“ მუშაობისათვის კადრების მომზადების სფეროში ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს—მიუჩინოს საზ. „ავტოგზის“ ადგილობრივ განყოფილებებს შესაფერი სადგომები განყოფილებისა, სკოლისა, კურსებისა, სახელოსნოს, სასწავლო პუნქტისა და გარაჟისათვის.

2. დაევალოს იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, სადაც საზ. „ავტოგზა“ მოაწყობს შოფერების სკოლებს, მიუჩინონ მათ, საზ. „ავტოგზის“ განცხადების მიხედვით, სათანადო მიწის ნაკვეთები ავტოდროშებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის თანახმად მიჩენილი სადგომები და მიწის ნაკვეთები მიიმაგრება საზ. „ავტოგზაზე", და ამ სადგომებიდან და ნაკვეთებიდან „ავტოგზის" დაწესებულებების გამოსახლება ან სხვა ადგილას გადაყვანა, საზ. „ავტოგზის" ცენტრალური საბჭოს თანხმობის გარეშე, აკრძალულია.

4. უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—გაანთავისუფლონ ხოლმე „ავტოგზა" საიჯარო ქირისაგან მთლად ან მიანიჭონ შეღავათები ამ ქირის მხრით იმ სადგომებზე, რაც უჭირავთ „ავტოგზის" სასწავლო ან სხვა საწარმოთ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ ავტომანქანების სია, რაც შეესაბამება გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს 1934 წ. ივლისის 10-ის თარიღისა და 122/ДВ №-ის ინსტრუქციის მოთხოვნათ, და რაც შეიძლება გადაეცეს „ავტოგზას".

6. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივლისის 28
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

214. დადგენილება ც.ა.კ.და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების 28[1] მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების 28[1] მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202 და 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 331) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** 28¹—მუხლში აღნიშნული წესი არა ვრცელდება საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობის სახლში მცხოვრებ სამხედრო მსახურზე, რომელიც ამ ამხანაგობის წევრი არ არის; იგი ბინის ქირას იხდის ზემოაღნიშნული ხუთმეტპროცენტიანი ზედნართის დაურიცხავად“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის“ 202 №-ში 1934 წ. სექტემბრის 1.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

215. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.კ.ს.

საბიბლიოთეკო აღწერის ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სსრ კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ გამოცემული 1934 წ. მარტის 27-ის დადგენილების მე-4 მუხლის (სსრკ. კან. კრ. 1934 წ. მე-18 №-ი, მუხ. 141) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში საბიბლიოთეკო აღწერის ჩატარების შესახებ“ გამოცემული 1934 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატარონ 1934 წლის ბოლომდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა ბიბლიოთეკის აღწერა და შემდგომ დააწესონ ამ ბიბლიოთეკების პერიოდული ანგარიშგება.

2. აღწერის ძირითად ამოცანად მიღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ-ში საბიბლიოთეკო ქსელისა (წითელი არმიისა და ფლოტის ბიბლიოთეკების გამოკლებით), ბიბლიოთეკების წიგნთა ფონდებისა და აგრეთვე ბიბლიოთეკების მომსახურე კადრების გამორკვევა.

3. პასუხისმგებლობა აღწერის ჩატარებისათვის მთლიანად და ხელმძღვანელობის გაწევა აღწერის ჩატარებაში მონაწილე უწყებათა მუშაობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს.

4. დაევალოს ყველა იმ უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომელსაც ბიბლიოთეკა აქვს, განახორციელოს დაუყოვნებლივ საჭირო ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების სრულ მომზადებას აღწერისათვის.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ აღწერის ჩატარება საჭირო სახსრით და კადრებით.

6. დამტკიცებულ იქნეს რესპუბლიკანური საალწერო კომისია საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შემდეგ პირთა შედგენილობით: ამხ. კ. დვალი (საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო,—კომისიის თავმჯდომარე), ვ. იმედაშვილი (საქ. სსრ სახ.-სამ, აღრიცხვის სამმართველო,—კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ამხ. გოგოტიშვილი (განათლების სახ. კომის.), თევზაძე (საქ. პროფ. კავშირთა საბჭო) და მ. ყოჩიაშვილი (საქ. სახ.-სამ. აღრიცხვის სამ-ლო).

7. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებსა და ოლქში ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. სექტემბრის 2

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 206 №-ში 1934 წ. სექტემბრის 5.

---

216. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-16 №-ი, მუხ. 183; 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 218) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 32, 35 და 38 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„32. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს სათავეში დგას მმართველი, რომელსაც ჰნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. მმართველს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ჰნიშნავს აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი".

„35. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მმართველს უფლება აქვს დანიშნოს მასალების გადამრჩევი კომისიები ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან განწესებულ თანამშრომელთაგან".

„38. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო შესდგება საადმინისტრაციო-საორგანიზაციო და სამეცნიერო-სამეთოდიკო განყოფილებებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოსთან არსებობს შემმოწმებელი კომისია ცენტრალური საარქივო სამმართველოს სამეცნიერო მომუშავეთაგან".

2. მე-18 მუხლში, 27 მუხლში („ე" პუნქ.) და 64 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (ერთად)".

3. 33 და 34 მუხლებში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 218) სიტყვა „გაძგეს" შეიცვალოს სიტყვად „მძართველს".

4. მე-III თავის სათაურში და მე-7 მუხლში, 28 მუხლში („ა", „გ" და „თ" პუნქ.), 41, 42, 43, 44, 45, 46, და 47 მუხლებში სიტყვები: „საარქივო ბიუროები", „საარქივო ბიუროების", „საარქივო ბიუროებს", „საარქივო ბიუროებთან" და „საარქივო ბიუროს" შეიცვალოს შესაბამის ადგილებში სიტყვებად: „საარქივო სამმართველოები", „საარქივო სამმართველოების", „საარქივო სამმართველოებს", „საარქივო სამმართველოებთან" და „საარქივო სამმართველოს".

5. 36 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 218) ამოშლილ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

---

217. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

რუსთაველის სახელობის თეატრის ათი წლის არსებობის აღნიშვნის შესახებ.

რუსთაველის სახელობის თეატრი ათი წლის შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად გადაიქცა საქართველოს საბჭოთა კულტურის განვითარების თვალსაჩინო ფაქტორად და თავისი მხატვრული მიღწევებით („ანზორის", „ინ ტირანოსის", „რღვევის" და სხვ. მისთ. დადგმა) განასახიერა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებანი.

ამასთან ერთად რუსთაველის სახელობის თეატრმა ჩაატარა დიდი მუშაობა თეატრის მაღალკვალიფიციური ნაციონალური კადრებისა (მსახიობნი, რეჟისორნი, მხატვარნი, სტუდიები აჭარლებისა და ოსებისათვის და სხვ.) და დრამატურგის კადრების აღზრდისათვის.

ამისდამიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღიძრას სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა რუსთაველის სახელობის თეატრი და მისი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელი, სახალხო არტისტი ამხ. სანდრო ახმეტელი დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენებით.

2. გამოჩენილი მხატვრულ-შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭოს:

ა) რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება: აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს და გიორგი დავითაშვილს;

ბ) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება: თამარ წულუკიძეს, სუზანა ბეჟანიშვილს და ივანე აბაშიძეს;

გ) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება: ირაკლი გამრეკელს და იონა ტუსკიას.

3. გაღებულ იქნეს რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკთა დასაპრემიებლად 150.000 მან..

4. ჩატარებულ იქნეს 1934—1935 წ.წ. რუსთაველის სახელობის თეატრის შენობის სრული რეკონსტრუქცია.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—განსაზღვროს აღნიშნული რეკონსტრუქციისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებათა რაოდენობა; ამასთანავე, გაღებულ იქნეს 1934 წელს მუშაობის დასაწყებად 250.000 მანეთი.

5. გადაეცეს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ამხ. სანდრო ახმეტელს პერსონალური სარგებლობისათვის ერთი მსუბუქი ავტომანქანა.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

ტამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 137 №-ში 1934 წ. ივნისის 15.

ჯანმრთელობის დაცვა

218. დადგენილება ს.კ.ს.

ტფილისის ბალნეოლოგიური კურორტის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს ტფილისის ბალნეოლოგიური კურორტის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილოეთით—კოჯრის გზატკეცილის მოსახვევიდან საზღვარი მიდის ბოტანიკურ ბაღის ქედით, ორპიოის ქუჩის ჩიხით და ყოფ. ფეთხაინის, თუმანიანის და რიჟანაშვილის ქუჩებით და ეშვება სიონის ტაძრამდე; შემდეგ საზღვარი გადის ბაშბის ქუჩით მდ. მტკვრის პირველ ხიდზე, შემოუხვევს მეტეხის ციხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბაკალეინაია“-ს ქუჩით ავლაბრის აღმართით და კახეთის მოედნით და უერთდება კახეთის ქუჩას ყოფ. ტფილისის პოლკის ყაზარმასთან, აქედან კახეთის ქუჩით ეშვება სამას არაგველთა დაღმართით იმავე სახელწოდების ხიდამდე; ამ ადგილიდან საზღვარი მიდის მდ. მტკვარის ნაპირით დიდმოსახვევამდე აღმოსავლეთისაკენ, გადასჭრის აღმოსავლეთით კომუნალურ ქუჩას და უხვევს სამხრეთისაკენ, გადის გვერდობებზე ტაბახმელას ღელემდე 1-ლი გამსახლის კურორტის ტერიტორიაში ჩართვით.

შემდეგ საზღვარი მიდის ტაბახმელას ღელეზე, შემოუხვევს კრწანისის ბაღებს სამხრეთ-დასავლეთის მხრით ყოფ. წინანურის მონასტერის მაღლა, გადასჭრის ქედს მეორე მწვერვალზე ბოტანიკური ბაღის სამხრეთი ნაწილის მაღლა, ეშვება დაბახანის ღელესკენ, კვლავ ადის კოჯრის გზატკეცილამდე, მიდის ქედამდე და ამ ქედით მიიმართება გამოსავალ წერტილამდე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.

ტფილისი.

---

219. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ სურამის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კურორტ სურამის სამთო-სასანიტარო ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით საზღვარი $\frac{42^0 2'47''}{61^0 8'05''}$ წერტილიდან მიდის რიკოთის უღელტეხილით: $\frac{42^0 3'2''}{61^0 8'34''}$, $\frac{42^0 3'13''}{61^0 9,19''}$ $\frac{42^0 3'11''}{61^0 10'0''}$ წერტილებზე და შემდეგ ქედით $\frac{42^0 3'45''}{61^0 9'10''}$, $\frac{42^0 4'13''}{61^0 9'10''}$ წერტილებზე $\frac{42^0 5'8''}{61^0 9'30''}$ წერტილამდე; უკანასკნელი წერტილიდან საზღვარი ეშვება შუა-ღელეზე $\frac{42^0 5'13''}{61^0 12'20''}$ წერტში და შემდეგ ადის ქედზე $\frac{42^0 5'10''}{61^0 12'37''}$ წერტამდე; აღმოსავლეთით საზღვარი მიდის ქედით $\frac{42^0 4'27''}{61^0 12'32''}$ წერტზე, 1123,9 მ-ის მაღლობამდე და შემდეგ გზით $\frac{42^0 3'30''}{61^0 12'29''}$ წერტილით 1041,1 მ. მაღლობის წერტამდე; უკანასკნელი წერტიდან გაივლის $\frac{42^0 2'58''}{61^0 13'03''}$, $\frac{42^0 2'31''}{61^0 13'22''}$, $\frac{42^0 2'20''}{61^0 13'32''}$, $\frac{42^0 1'43''}{61^0 14'11''}$ წერტილებზე 879,0 მ მაღლობის წერტს და მიდის 866,5 მაღლობის წერტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთით საზღვარი უკანასკნელი წერტილიდან ეშვება მდინარე სურამულაზე $\left(\frac{42^0\,0'49''}{61^0\,14'23''}\right)$ და შემდეგ პირდაპირი ხაზით გადაჭრის გზატკეცილსა და რკინის გზას და მიდის ილიობის ქედის $\frac{42^0\,0'44''}{61^0\,13'6''}$ წერტილზე. აქედან ილიობის ქედით მაღლობ 1066,5 და წერტილზე $\frac{42^0\,0'28''}{61^0\,10'28''}$ გავლით უერთდება კოტილაურის მთას (სიმაღლე 1202,4); დასავლეთით—უკანასკნელ მწვერვალიდან დადის $\frac{42^0\,0'33''}{61^0\,9'40''}$, $\frac{42^0\,0'59''}{61^0\,9'38''}$, $\frac{42^0\,1'20''}{61^0\,9'32''}$ წერტილებით სურამის უღელტეხილზე (სიმ. 947,9), შემდეგ ადის წერტილზე $\frac{42^0\,2'7''}{61^0\,8'50''}$, მიდის ქედით, გაივლის საბუათის მთაზე (სიმ. 1250,3) და შეუერთდება გამოსავალ წერტილს.

2. ყველა ტყის ფართობი წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში ცნობილ იქნეს დაცვითს ტყედ და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო წესით სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.
ტფილისი.

---

220. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ ქვიშხეთის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს კურორტ ქვიშხეთის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით საზღვარი მიდის სურამის ქედიდან $\left(\text{წერტილი } \frac{41^0\,59'\,40''}{61^0\,8'\,13''}\right)$ დაღმართით წერტილზე $\frac{41^0\,59'20''}{61^0\,8'50''}$ და შემდეგ გვირაბის დასაწყისამდე $\left(\frac{41^0\,59'14''}{61^0\,9'30''}\right)$; აღმოსავლეთით—გვირაბიდან რკინის გზის განსხვისების ზოლის გასწვრივ სადგურ ლიხამდე; აქედან ეშვება პირდაპირი ხაზით მდინარე შოლაზე $\left(\text{წერტილი } \frac{41^0\,58'14''}{61^0\,10'48''}\right)$; შემდეგ მიდის მდინარე შოლაზე მდ. მტკვართან შერთვამდე $\left(\frac{41^0\,57'\,58''}{61^0\,10'\,56''}\right)$; ამ უკანასკნელი ადგილიდან—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე მტკვრის გასწვრივ რკინის გზის ხიდამდე (წერტილი $\frac{41^0\ 56'\ 55''}{61^0\ 10'\ 26''}$);

სამხრეთით—ბორჯომის რაიონის საზღვრით 1693,3 მ მაღლობის ტრიგონომეტრულ წერტამდე; დასავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით—აღნიშნული ტრიგონომეტრული წერტიდან სურამის ქედით $\frac{41^0\ 58'\ 51''}{61^0\ 6'\ 30''}$ წერტით გამოსავალ წერტილამდე.

2. ყველა ტყის ფართობი წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში, ცნობილ იქნეს დაცვითს ტყედ და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო წესით სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.
ტფილისი.

---

221. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ მენჯის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კურორტ მენჯის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით საზღვარი მიდის სოფლების სახარბედიოსა და საგაბესკირიოს გზების ჯვარედინიდან (წერტილი $\frac{42^0\ 18'\ 19''}{59^0\ 40'\ 48''}$) პირდაპირი ხაზით $\frac{42^0\ 18'\ 37''}{59^0\ 41'\ 46''}$ წერტილამდე და შემდეგ მდინარე ოქვაცამდე ($\frac{42^0\ 18'\ 38''}{59^0\ 42'\ 02''}$);

აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—მდინარე ოქვაცით სოფ. სახარბედიოს გზამდე ($\frac{42^0\ 18'\ 05''}{59^0\ 41'\ 54''}$), შემდეგ—გზით $\frac{42^0\ 18'\ 10''}{59^0\ 42'\ 14''}$ წერტილამდე, ადის ტაფობით $\frac{42^0\ 18'\ 07''}{59^0\ 42'\ 42''}$ წერტილზე და აქედან—ტრიგონომეტრიულ წერტზე ($\frac{42^0\ 17'\ 31''}{50^0\ 43'\ 18''}$); სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდის $\frac{42^0\ 17'\ 14''}{59^0\ 42'\ 53''}$, $\frac{42^0\ 17'\ 04''}{59^0\ 42'\ 46''}$, წერტილებით $\frac{42^0\ 16'\ 55''}{59^0\ 42'\ 28''}$ წერტილამდე გზაზე, შემდეგ ახალსენაკისაკენ მიმავალი გზით $\frac{42^0\ 16'\ 48''}{59^0\ 42'\ 30''}$ წერტილამდე; აქედან—პირდაპირი ხაზით გზა-ტკეცილსა და რკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გზაზე გადასვლით $\frac{42^0\ 16'\ 30''}{59^0\ 42'\ 00''}$ წერტილამდე; სამხრეთით საზღვარი მიდის აღნიშნულ უკანასკნელ წერტილიდან პირდაპირი ხაზით მდინარე ცივის გადაკვეთ $\frac{42^0\ 16'\ 17''}{59^0\ 40'\ 41''}$ წერტილამდე; დასავლეთით—პირდაპირი ხაზებით $\frac{42^0\ 16'\ 17''}{59^0\ 40'\ 41''}$ წერტილიდან $\frac{42^0\ 17'\ 01''}{59^0\ 40'\ 21''}$ წერტილით, რკინის გზის გადაკვეთ გამოსავალ წერტილამდე.

2. ყველა ტყის ფართობი, წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში, ცნობილ იქნეს დაცვითს ტყედ და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.
ტფილისი.

---

222. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ ანაკლიის სამთო-სასანიტარო ზონის დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კურორტ ანაკლიის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—შავი ზღვის ნაპირიდან $\left(\text{წერტ. } \frac{42^0\ 25'\ 0''}{59^0\ 2'\ 45''}\right)$ აფხაზეთის ასსრ-ის საზღვრით მდინარე ზორგაშამდე $\left(\frac{42^0\ 25'\ 07''}{59^0\ 13'\ 49''}\right)$; აღმოსავლეთით—მდინარე ზორგაშიდან $\left(\text{წერტილი } \frac{42^0\ 25'\ 07''}{59^0\ 13'\ 49''}\right)$ პირდაპირი ხაზით $\frac{42^0\ 23'\ 55''}{59^0\ 14'\ 16''}$ წერტილამდე (ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილზე) და შემდეგ $\frac{42^0\ 23'\ 35''}{59^0\ 14'\ 15''}$ წერტილით $\frac{42^0\ 23'\ 17''}{59^0\ 13'\ 56''}$ წერტილამდე (შავი ზღვის პირად); სამხრეთით და დასავლეთით—აღნიშნული უკანასკნელი წერტილიდან შავი ზღვის ნაპირით მდინარე ენგურის და ზღვის შესართავამდე და შემდეგ ისევ ზღვის ნაპირით გამოსავალ წერტილამდე $\left(\frac{42^0\ 25'\ 0''}{59^0\ 12'\ 45''}\right)$.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ყველა ტყის ფართობი წინა მუხლით გათვალისწინებული საზღვრებში ცნობილ იქნეს დაცვითს ტყეებად და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო წესით სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.
ტფილისი.

---

223. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ მალთაყვის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კურორტ მალთაყვის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთ-დასავლეთით შავი ზღვის ნაპირიდან $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 6'\ 54''}{59^0\ 20'\ 40''}\right)$ საზღვარი მიდის ქალაქ ფოთის მიწების მიჯნით, გადაჭრის მდინარე კაპარჭას $\frac{42^0\ 7'\ 20''}{59^0\ 21'\ 40''}$ წერტში და მიდის პალიასტომის ტბის ნაპირამდე $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 7'\ 22''}{59^0\ 22'\ 03''}\right)$ აღმოსავლეთით—პალიასტომის ტბის სანაპირო ხაზით მის სამხრეთ მოსახვევამდე $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 5'\ 58''}{59^0\ 22'\ 36''}\right)$ და შემდეგ იმავე ტბის ნაპირით მდინარე მალთაყვის შემდინარემდე $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 6'\ 12''}{59^0\ 23'\ 10''}\right)$ და ამ შემდინარით მდ. თხორინასთან შერთვის ადგილამდე $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 5'\ 18''}{59^0\ 24'\ 28''}\right)$; სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით—მდ. მალთაყვის გასწვრივ მის ჩრდილო-დასავლეთის მოსახვევამდე $\left(\text{წერტ.}\ \frac{42^0\ 3'\ 52''}{59^0\ 23'\ 30''}\right)$ და აქედან პირდაპირი ხაზით ზღვასთან მდინარე კაპარჭის შერთვის ადგილამდე $\left(\frac{42^0\ 3'\ 50''}{59^0\ 23'\ 09''}\right)$; სამხრეთ-დასავლეთით—აღნიშნული უკანასკნელი წერტილიდან შავი ზღვის ნაპირით გამოსავალ წერტილამდე $\left(\frac{42^0\ 6'\ 54''}{59^0\ 20'\ 54''}\right)$.

2. ყველა ტყის ფართობი წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში ცნობილ იქნეს დაცვითს ტყედ და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო წესით სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

224. დადგენილება ს.კ.ს.

კურორტ ნაბეღლავის სამთო-სასანიტარო ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კურორტ ნაბეღლავის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით საზღვარი მიდის 1162,7 მაღლობის მწვერვალიდან სხმარტლის-გორას ქედით საყორნიას მთის მწვერვალით (სიმაღლე 1265,2 მ.) აღმოსავლეთით—საყორნიას-მთის მწვერვალიდან ეშვება $\frac{42^0\ 56'\ 0''}{60^0\ 4'\ 0''}$, $\frac{42^0\ 55'\ 40''}{60^0\ 4'\ 7''}$ წერტილებით მდინარე გუბაზეულაზე $\left(\text{წერტილი } \frac{42^0\ 55'\ 20''}{60^0\ 3'\ 42''}\right)$, შემდეგ მიდის მდინარე გუბაზეულით $\frac{42^0\ 55'\ 11''}{60^0\ 4,\ 6''}$ წერტილამდე, ადის ქედით $\frac{42^0\ 54'\ 10''}{60^0\ 3'\ 56''}$, $\frac{42^0\ 53'\ 38''}{60^0\ 4'\ 21''}$, $\frac{42^0\ 53'\ 15''}{60^0\ 4'\ 02''}$ წერტილებზე $\frac{42^0\ 52'\ 49''}{60^0\ 4'\ 12''}$ წერტილამდე; აქედან ჩადის წერტილზე $\frac{42^0\ 52'\ 44''}{60^0\ 5'\ 22''}$ მდინარე კვირის-წყალზე $\left(\frac{42^0\ 52'\ 9''}{60^0\ 5'\ 38''}\right)$; სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდის მდინარე კვირის-წყალის გასწვრივ და შემდეგ ადის ქედზედ $\frac{42^0\ 50'\ 19''}{60^0\ 4'\ 10''}$; სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით მიდის ქედით (ბახმაროს სატყეოს საზღვრით) ლენჭყის სერის მთის მწვერვალით (2505,9 მაღ.) და $\frac{42^0\ 51'\ 47''}{60^0\ 2'\ 10''}$, $\frac{42^0\ 52,\ 29''}{60^0\ 1'\ 14''}$ წერტილებით $\frac{42^0\ 53'\ 13''}{60^0\ 0,\ 20''}$ წერტილამდე; შემდეგ ეშვება ქედით $\frac{42^0\ 55,\ 2''}{60^0\ 0'\ 10''}$ წერტილზე, აქედან ადის ძეგვილას მთის მწვერვალზე (მაღლობი 1467,7 მ) და მიჰყვება ქედს 1045,9 მ მაღლობის მთის მწვერვალამდე; აქედან ეშვება $\frac{42^0\ 56'\ 42''}{59^0\ 59'\ 16''}$ წერტილით მდინარე გუბაზეულაზე $\left(\frac{42^0\ 57,\ 6''}{59^0\ 59,\ 36''}\right)$, საიდანაც $\frac{42^0\ 57,\ 6''}{59^0\ 59'\ 38''}$ და $\frac{42^0\ 57'\ 38''}{59^0\ 59'\ 56''}$ წერტილებით ადის გამოსავალ წერტილზე.

2. ყველა ტყის ფართობი წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში ცნობილ იქნეს დაცვითს ტყედ და გადაეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი საერთო წესით სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივნისის 29.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

225. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 30[1] და 30[2] მუხლების შეცვლის შესახებ.

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების შეცვლისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-გამასწორებელ ნაწილებში ზედამხედველი კომისიების მოწყობის თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 5-ის დადგენილების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი-კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 27-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 29 №-ი, მუხ. 223), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში (1933 წლის გამოცემა) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 30—მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„30[1]. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა და ვადაზევითი სამსახურის უმცროს საკადრო თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურს და აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მერიგეთა და ვადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურს, რომელსაც გადაეწყვიტა შრომა-გასწორების სამუშაოები ერთ წლამდე, ამ სამუშაოების ნაცვლად, შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე, რასაც იგი მოიხდის იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის.

30[1]. მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნა ამოშლილ იქნეს.

2. 30[2] მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„30[2]. იმ განაჩენის აღსრულება, რომლითაც სამხედრო მსახურს ომიანობის დროს გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა უფლების აუყრელად, შეიძლება, განაჩენის გამომტანი სასამართლოს დადგენილებით, გადაიდოს სამხედრო მოქმედებათა გათავებამდე, იმ პირობით-კი, რომ მსჯავრდადებული გაიგზავნოს მომქმედ არმიაში.

უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული სამხედრო მსახური მომქმედი არმიის შედგენილობაში თავს გამოიჩენს სსრ კავშირის მედგარ დამცველად, იგი, სათანადო სამხედრო უფროსის შუამდგომლობით, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს წინად გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან, ან ეს ღონისძიება მას შეიძლება შეეცვალოს სოციალური დაცვის უფრო მსუბუქ ღონისძიებად იმ სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც განაჩენი გამოიტანა“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.-ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15
ტფილისი

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 55 3/მ. რედაქტორი **მ. გამყელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშან
გადაეცა სტამბას 22/IX; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X; ტირაჟი 1.600.

მთავ. რწმუნ. ს.—№ 82 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1462